საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 30 მაისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] 1 თვით 75 მანეთი, [illegible] 3 მანეთი, [illegible] 5 მანეთი. [illegible] 1 მან. [illegible] 100 მანეთი. [illegible] ერთობის ქუჩა № 4 [illegible] 12—15 [illegible] 16—33

№ 119

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა

№ [illegible]

„ერთობის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თავის თანამშრომლის, პოეტ

ნოე ჩხიკვაძის

უდროოთ გარდაცვალებას.

დამწუხრებული ცოლი მარიამ ჩხიკვაძისა [illegible] შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24 მაისს მიხეილის საავადმყოფოში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი ქმარი და მეორეს ძვირფასი მამა

ნოე ჩხიკვაძე

პანაშვიდები ქვაშვეთის ეკლესიაში ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას, მაისის 30-ს დილის 12 საათზე, დიდუბეში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. (ნ 1—1)

მწერალთა კავშირის საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 24 მაისს, დილის 12 საათზე ფილტვების ანთებით მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა კავშირის წევრი, პოეტი

ნოე ჩხიკვაძე

პანაშვიდები ქვაშვეთის ეკლესიაში ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას მაისის 30-ს დილის 12 ს. დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. (ნ. 1—1)

ჟურნალ „[illegible]“ სარედაქციო კოლეგია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას თავის თანამშრომლის პოეტის

ნოე ჩხიკვაძის

გარდაცვალებას. (ნ. 1—1)

ს. ამაშუკელი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ [illegible]

ნოე ჩხიკვაძის

უდროოდ გარდაცვალებას. (ნ. 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: [illegible], მამა [illegible], და [illegible], ძმები [illegible] და [illegible], აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

ვახტანგ (ვ ხტუ) მიხეილის ძე კომოკლიძისა

დაკრძალვა მოხდება ქ. ბათუმში კვირას 30 მაისს ნაშუადღევის 3 საათზე. (1716 2—2)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე [illegible] ([illegible]), ძმები [illegible] და [illegible], ძმის წულები: [illegible], აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას [illegible] ამა თვის 27 [illegible]

ვლადიმერ დიმიტრის ძე მზეიძის

დაკრძალვა მოხდება მცხეთის საკათედრო სობოროს გალავანში სამშაბათს 1 ივნისს დილის 11 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. (1722—2—2)

ღრმად დამწუხრებულნი [illegible]: [illegible], აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას [illegible] მცხეთაში ამა თვის 27 მაისს ძვირფასი [illegible]

ვლადიმერ დიმიტრის ძე მზეიძე

დაკრძალვა მოხდება მცხეთის საკათედრო სობოროს გალავანში სამშაბათს 1 ივნისს დილის 11 საათზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. (1722—2—2)

[illegible] გვარდიის [illegible] 2 [illegible] მეორე [illegible] ბრძოლის დროს 15 მაისს [illegible]

გალაკტიონ მაისურაძე

და ზემდეგი

ალექსანდრე ალბრეხტი

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები აუწყებენ [illegible] საზოგადოებას, რომ დაკრძალვა და გასვენება მოხდება ქ. ხაშურში 30 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე ძმათა სასაფლაოზე. (1729—1—1)

ხაშურის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბმა აზერბეიჯანის ფრონტზე 15 მაისს დაკარგა გმირი სახალხო [illegible], [illegible] ამხანაგები

გალაკტიონ მაისურაძე

და

ალექსანდრე ალბრეხტი

ღრმად დამწუხრებული შტაბი [illegible] აუწყებს ამხანაგებს, რომ გასვენება და დაკრძალვა მოხდება ძმათა სასაფლაოზე, 30 მაისს ა. წ. ნაშუადღევის 3 საათზე ქ. ხაშურში (1729—1—1)

ღრმათ დამწუხრებული სახალხო გვარდიის [illegible] აცნობებენ [illegible] და ნაცნობებს, რომ კვირას, 30 მაისს, ა. წ. ქ. ხაშურში მოხდება დაკრძალვა ძმათა სასაფლაოზე აზერბეიჯანის ფრონტზე გმირულად დაღუპულ ჩვენი ძვირფასი ამხანაგის ოფიცრის

გალაკტიონ მაისურაძისა

(1729—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები [illegible] და [illegible], ცოლი მარო, და ნინა და ძმა [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 30 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე მოხდება დაკრძალვა ქ. ხაშურში აზერბეიჯანის ფრონტზე ბრძოლაში დაღუპულ ძვირფასი შვილის ოფიცრის

გალაკტიონ მაისურაძისა

(1729—1—1)

[illegible], ცოლის ძმები [illegible], [illegible], ცოლის დები, [illegible] აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ დაკრძალვა ძვირფასი სიძის აზერბეიჯანის ფრონტზე მოკლულ ოფიცრის

გალაკტიონ მაისურაძის

მოხდება კვირას, 30 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე ქ. ხაშურში. ([illegible])

ღრმად დამწუხრებული [illegible], მეუღლე [illegible], [illegible] და [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 30 მაისს ა. წ. მოხდება დაკრძალვა აზერბეიჯანის ფრონტზე მოკლულ ძვირფასი

საშა ალბრეხტისა

ქ. ხაშურში, ნაშუადღევის 3 საათზე. (1630—1—1)

ქართველ მხატვართა კავშირის საბჭო ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას, 30 მაისს გარდახდილ იქნება პანაშვიდი გარდაცვალებიდან 6 წლის თავზე დაუვიწყარი მხატვრის

კოტე მესხის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. (ნ. 1—1)

ღრმად დამწუხრებული შვილები: შუშანა და [illegible], [illegible] ნათესავთ და მეგობრებს წლის თავს ძვირფასი დედის

რაისოს

დაკარგვას. პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს შუადღის 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე. (1730 1—1)

ჟურ. „[illegible]“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ორშაბათს, მაისის 24-ს, გარდაიცვალა ჟურნალის თანამშრომელი, პოეტი

ნოე ჩხიკვაძე

გასვენება [illegible] ქვაშვეთის ეკლესიიდან კვირას, მაისის 30-ს, შუადღის 12 საათზე და დაკრძალავენ ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. (ნ—1—1)

დაიწყო მუშაობა

ახლად გახსნილმა პირველმა კავკასიაში და საქართ. რესპუბ. ქალაქთა კავშირის

ნამდვილი გრეხილი ვენის ავეჯეულობის ქარხანამ

მიიღება შეკვეთა სკამების, კრაოტების, ავტომობილის „დუგების“ და სხვა. შესაკვეთათ და ცნობების მისაღებათ მიმართეთ ქარხნის კანტორაში ანტონიევის ქუჩა № 1 ჩერქეზოვის კუთხე. (ნ. 10—8)

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში კანცელარიისათვის საჭიროა გადასაწერ მანქანაზე ზედმიწევნით გამოცდილი მომუშავენი

სავალდებულოა ცოდნა როგორც ქართულის, აგრეთვე რუსულის, მანქანების წყობილობის დაახლოვებითი ცოდნა და მათი სახელდახელო დაშლა-აწყობა. მსურველებმა განცხადებებს უნდა დაურთონ: მოწმობები წარსულში, რომელ დაწესებულებაში უმუშავნიათ და რამდენი ხანი, მიღება მოხდება შეჯიბრებით. განცხადებები მიიღება მთავარ შტაბის საქმის მწარმოებელთან. (ნ. 2—2)

განცხადება

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 5 ივნისს დღის 12 საათზე ხსენებულ განყოფილებაში მოხდება საჯარო ვაჭრობა ზეპირ შეჯიბრებით და დაბეჭდილ კონვერტებით წარმოდგენილ განცხადებით ჯარისთვის 1920 წ. 15 ივნისიდან 1921 წ. 15 ივნისამდე 250 ათასამდე შეკუმშულ თივის მოწოდების შესახებ. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა წარმოადგინონ პიროვნების მოწმობა და საწინდრად 10 პროც. თივის ღირებულებისა. იჯარით შეიძლება გაიცეს როგორც მთელი რაოდენობა თივისა, ისე მისი ნაწილი. მოიჯარადრეთ შეიძლება მიეცეს სამნეო განყოფილებისგან გარდაწყვეტილ ფასებში თივის შესაკუმშად საჭირო ზოგიერთი მასალა. დაწვრილებითი პირობები მსურველთ შეუძლიანთ ინახულონ სამნეო განყოფილებაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე. მისამართი ბარიათინსკის ქ. № 10. (ნ. 3—3)

---

26 მაისს, ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა [illegible]

სვიმონ გრიგოლისძე კლდიაშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ძმა ანდრია, დები ანასტასია, ნინო [illegible] და [illegible], რძალი მარიამ მიხეილის ასული კლდიაშვილისა, ძმის წული [illegible] ცოლით და [illegible]. პანაშვიდი კვირას 30 მაისს საღამოს 7 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება ორშაბათს 31 მაისს 12 საათზე დიდუბეში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

მეაბრეშუმენო!

აბრეშუმის ჭიის პარკების ბუნებრივი ჩვეულებრივი წესით გამოშრობა, დიდი ხნით აფერხებს მათ მოწევას, აძლიერებს მათზე უამინდობის დამღუპველ გავლენას, უკარგავს აბრეშუმს ფერს, რითაც სცემს მათ ფასს ბაზარზე და ითხოვს ზედმეტ მუშაობას და ზრუნვას.

ამიტომ მიეცით უპირატესობა აბრეშუმის პარკების მექანიკურ წესით გამოშრობას, რისთვისაც ახსნა განმარტებისთვის უნდა მიმართოთ სამტრედიაში ლომბარდის აბრეშუმის ამოსახვევ ქარხნის დირექტორს— ბ. ნ. მაცაცუკელის. (1694—1—1)

თოკი მანილის

მნის შესაკვრელ მანქანისთვის ცოტაოდა დარჩა. მიმართეთ 19 თებერვლის ქ, № 12 სკლიარენკოს მაღაზიაში. (1732—2—1)

სახალხო სახლი ზუბალაშვილის სახელობისა

კვირას 30 მაისს 1920 წელს

ქრისტინე

ოპერა 4 მოქ. 5 სურათ. მუსიკა რევაზ გოგნიაშვილისა.

მონაწილეობენ: [illegible], კალანდაძე-[illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible] ვ. [illegible].

დირიჟორი: ინილჩიკი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება კასაში.

მორიგი წევრი მუსიკალურ სექციისა: ა. სარაჯიშვილი. ანონსი: ამ მოკლე ხანში წარმოდგენილი იქნება ოპერა

„ჯადოსანი“

იგივე ავტორისა. (1727—1—1)

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

დღეს, 30 მაისს ფრონტის სასარგებლოდ, ღამის 3 საათამდის მდიდარი პროგრამით გაიმართება საღამოები:

1. დილიდ ნავე სეირნობა ხანახლის ბაღში.
2. გრანდიოზულ პროგრამით: პირველსა და მეორე ქართულ კლუბში.
3. ტივოლში.
4. „მერცხალი“.
5. ხელოსანთა კლუბში.
6. ტარტუში (საზაფხულო შენობაში).
7. კაფე „26 მაისში“.
8. ალექსანდრეს ბაღში სეირნობა.
9. მუშტაიდის ბაღში, მიტინგი სეირნობა.
10. „მუშათა კლუბში“.

დილამდის გართობა, კეთილი მიზნით გამსჭვალული. შემოწირულებანი უკვიტანციოთ არ მისცეთ. (ნ. 1—1)

დაეხმარეთ ფრონტს

დღეს, კვირას, 30 მაისს ფრონტის დღეა!

კაფე რესტორანი 26 მაისი მართავს დიდებულს

კაბარეს

საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით, რესტორანს აქვს საუცხოვო სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებით. სასმელი ყველა გამოჩენილ ფირმებისა. ფასები ზომიერია, წმინდა შემოსავალი გადაიდება ფრონტის სასარგებლოთ. შესვლა და მაგიდები უფასოა.

უფრ. ამ. დ. ხ. გამგეობა,
(1733—1—1)

[illegible] ფრონტს

საჩქაროთ იყიდება

„ფურგონი“

სახურავით. ვარგა: ლიმონათის, ლუდის და კონიაკის ქარხნებისთვის. იქვე საჭიროა გამოცდილი დამტარებელი (კონდუქტორი), იკითხეთ კიროჩნი ქ. № 26. ლიმონათის ქარხანა. (1684 3—2)

ვინ არიან?

ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ [illegible] კომუნისტური პარტიის შესახებ. აღვნიშნავთ, რომ ეს პარტია ანგარიშს უწევს „სახალხო“ [illegible] მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობას და იცავს თავის [illegible]. რამდენათ სწორია და პირდაპირი [illegible] ის

დღე

ფრონტისთვის გუშინ თფილისში დილიდანვე სწარმოებდა ყულაბებით ფულის მოგროვება, რომელიც კარგათ ჩატარდა. ფულის მოგროვება გაგრძელდება დღეს, 30 მაისს.

სამშაბათს, 1 ივნისს ფრონტზე გაიგზავნება საჩუქრების მეორე ტრანსპორტი.

——

გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა.

28—29 მაისის განმავლობაში ყველა ფრონტებზე სიწყნარე იყო.

ამ ახალ გზას, ჩვენ არ ვიცით. ამას მომავალი გვიჩვენებს.

ახლა ჩვენ გვინდა შევჩერდეთ მეორე პარტიაზე, რომელიც სხვა სახელს ატარებს, მაგრამ არსებითად არ განირჩევა ბოლშევიკებისაგან. მხედველობაში გვაქვს „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია". (ინტერნაციონალისტები). ეს პარტია ბოლშევიკური თვალით უყურებდა ახალგაზრდა დემოკრატიულ საქართველოს. ისიც შეურიგებელ ბრძოლას სთვლიდა თითქმის ერთად ერთ გზათ ამ ქვეყნის რუსეთთან შეერთებისათვის.

ძალიან მკაფიოდ გამოაჩინეს თავისი სახე, როცა „საბჭოთა" ჯარები აზერბეიჯანში შემოვიდნენ და უცებ „ნაციონალს" [illegible] რესპუბლიკა. ხელში ჩაგვივარდა ბაქოში გამოცემული და „სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტებისგან" ხელმოწერილი მოწოდება. აქ იგივე ბოლშევიკური სიტყვიერება და ბოლშევიკების პოლიტიკური ლექსიკონიდან ამოღებული ლოზუნგები ჩვენს წინააღმდეგ. ერთმანეთში ურევენ მენშევიკების მთავრობას, აზერბეიჯანის „მუსავატისტებს", სომხეთის დაშნაკელებს და ევროპის „ყბადაღებულ იმპერიალისტებს". „ძირს, ძირს, ძირს",—ათავებენ თავის მოწოდებას, იმედოვნებენ, რომ ისინი მხარს არიან „წითელ რაზმებს" გამოიწვევს საქართველოს „რევოლუციის" შესამუშავებლად.

მეტად არაფერი გვაკვირვებს ამ პარტიისგან არ ვიცით, რა გზას ადგია ახლა, როცა თვით ბოლშევიკებმა იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა.

აქ კი „სოც. დემოკრატ ინტერნაციონალისტებს" არ ქონიათ თავისი სახე, თავისი მიმართულება. ისინი ბოლშევიკებთან ერთად ახლა მღერიან, ვიდრე რუსეთის სოციალდემოკრატიასთან. ჩვენ ვიცით იქაური ცენტრალური კომიტეტის დამოკიდებულება „საბჭოთა მთავრობასთან". ის, მართალია, მხარს უჭერდა ამ მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში, მაგრამ ყოველთვის იცავდა დემოკრატიის გზას. რუსეთის მენშევიკების ხელმძღვანელი ორგანო არასოდეს არ სთვლიდა ქართველ მენშევიკებს რევოლუციის წინააღმდეგათ და „მუსავატ დაშნაკელების ყაჩაღ იმპერიალისტების" მეგობრათ, ის ებრძოდა ბოლშევიკების პოლიტიკას და მუშათა კლასს იდეურათ აკავშირებდა მის წინააღმდეგ.

იციან თუ არა ეს საქართველოში თავშეყრილმა „სოციალდემოკრატ-ინტერნაციონალისტებმა"? იცნობენ თუ არა ისინი იმ პარტიას, რომლის სახელსაც ატარებენ? იციან თუ არა, რომ ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტი მონაწილეობას იღებდა საზავო მოლაპარაკებაში და ხელს უწყობდა ზავის ჩამოგდებას?

ჩვენ მივმართავთ ამ კითხვებით ბაქოში გამოცემულ მოწოდების ხელის მომწერთ. ცხადია, რომ ამისთანა მოწოდების შემდეგ ან სულ უნდა გასწყვიტონ სახელობითი კავშირიც რუსეთის სოციალდემოკრატიასთან, ან საჯაროთ გამოაცხადონ, რომ, არ იცოდნენ რას აკეთებდნენ, როცა ხელს აწერდნენ ხსენებულ მოწოდებას.

თუ ბოლშევიკურ პარტიას უერთდებიან, მაშინ უნდა სთქვან, თანახმა არიან თუ არა მისი უკანასკნელი გამოსვლის და მასთან ერთათ ახალ გზაზე შესვლის.

ერთი სიტყვით, უნდა სთქვან, ვინ არიან და როგორი თვალით უყურებენ დღეიდან ჩვენ დამოუკიდებლობას.

შეიძლება, ჩვენ საქმე არ გვაქვს იმგვარ მოპირდაპირესთან, შეიძლება „სოციალ-დემოკრატ-ინტერნაციონალისტების" სახელით გვევლინებიან საქმით პოლიტიკური ნაძირალები?

ეს სხვა საქმეა. ამისთანა წრეებთან ჩვენი პარტია კამათს არ შეუდგება. აქ [illegible] მხოლოდ იმ ხალხის შესახებ, რომელიც საქართველოს [illegible] თავს ცვეთავს.

პ. ბ. აქსელროდის წერილი ნოე ჟორდანიასა და აკაკი ჩხენკელისადმი *)

ბერლინი, 7 აპრილი 1920 წ.

ძვირფასო ნოე ნიკოლოზის ძევ და აკაკი ივანეს ძევ!

ირაკლი გიორგის ძე, რასაკვირველია, გადმოგცემთ თქვენ ჩემს გულითად სალამს და აგრეთვე ჩვენი საერთო მეგობრის შინაარს სხვადასხვა მწვავე საკითხების შესახებ. მაგრამ ჩემთვის სასიამოვნოა წერილობით მაინც ვისაუბრო თქვენთან,—თითქოს უშუალოდ ვლაპარაკობდე. ისე ბევრი სალაპარაკო, რომ არ ვიცი საიდან დავიწყო, რაზე შევჩერდე. მთელი ქვეყანა ცეცხლის ალში არის გახვეული; იგი წარმოადგენს საშინელ ქარტეხილით აწეწილ-აბობოქრებულ ოკეანეს. და ზოგჯერ, ისეთ გრძნობას განვიცდი, თითქოს ეს არის გამეფებული ქაოსი, რომელიც დაღუპავს მთელ კულტურულ კაცობრიობას.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩემში მაინც მტკიცეა იმედი, რწმენა იმისა, რომ ეს მსოფლიო „ახალი საზოგადოების მშობიარობის ტკივილის" საშინელი კრიზისია, ან უფრო სწორად, ეს არის მწვავე, მძიმე პროცესი ნიადაგის გაწმენდისა და ისტორიულ და პოლიტიკური დაბრკოლებათა დაძლევისა იმ გზაზე, რომელზეც განათლებული კაცობრიობის სოციალისტური ორგანიზაციის ნაბიჯისა და შექმნის ეპოქაში მივდივართ. მაგრამ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ეს მწვავე გარდამავალი ქაოტიური პერიოდი,—პერიოდი ურთიერთ შორის სისხლის ღვრისა და მოუსვენარ ძალის, ზოოლოგიურ ინსტინქტების ბატონობისა, რაც სოციალიზმის სახელით პიედესტალზე აჰყავთ დემაგოგებს, ავანტიურისტებს და სოციალიზმის პროსტიტუტებს? მე ფიქრშიაც ვერ ვბედავ პასუხი გავცე ამ კითხვაზე. ჩემთვის მხოლოდ ერთია ნათელი: მხოლოდ უფრო ძალთა მობილიზაციას საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატის მიერ, შეუძლია შეამოკლოს ეს პერიოდი და შეამსუბუქოს კრიზისის ტანჯვები, რასაც კაცობრიობა განიცდის და ამასთანავე ამავე დროს თვით პროლეტარიატი იტანჯება შინაური უთანხმოებით და იგი, თუ შეიძლება და ნება მომეცით ასე ვთქვა, დაქუცმაცებულია სულიერათ. და აი, ჩვენ ვდგევართ მთელ კაცობრიობისათვის საბედისწერო საკითხის წინაშე: როგორ გადავარჩინოთ პროლეტარიატის მსოფლიო კლასიური მოძრაობა და აღვადგინოთ მის წრეებში ორგანიზაციული და პოლიტიკური მთლიანობა?

მე ვერც კი ვბედავ ამ საკითხს შევეხო, ვინაიდან გაკვრითაც კი არ შეიძლება მასზე ლაპარაკი, თუ იმის მიერ გამოწვეულ ეკონომიურ, პოლიტიკურ და პსიქოლოგიურ შედეგებს და ამავე წარმოშობილ პრობლემებს არ შევეხებით. მე მინდა შევეხო მხოლოდ ერთ პუნქტს, რომელსაც კავშირი აქვს ინტერნაციონალის აღორძინების საკითხთან.

თქვენთვის არ არის საჭირო ვილაპარაკო იმაზე, რომ მისი დაშლისა და გამწვავებული შინაური უთანხმოების უპირველეს წყაროდ ითვლება მსოფლიო კატასტროფა და მუშათა პარტიების უმრავლესობის ულტრა ნაციონალისტური ტაქტიკა ამ კატასტროფის დროს. თქვენ, რასაკვირველია, კარგათ იცით, როგორის თანხმობით და ფართოთ არსებობს დღეს ინტერნაციონალური რუსეთის საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის შინაური კრიზისი. მაგრამ მე არა ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ საკმაოთ გქონდეთ წარმოდგენილი, თუ რამდენათ დიდია როლი რუსეთის ბოლშევიზმისა ამ კრიზისის წარმოშობის გაძლიერებისა და გაღრმავების საქმეში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლშევიკურ დიქტატურის ინტერნაციონალური პრესტიჟისა და [illegible] განადგურება დასავლეთის პროლეტარულ მასებში უშუალოთ დიდ გავლენას მოახდენს და მთელ ქვეყნის რევოლუციონურ პროლეტარიატს და მით გადიდება მის შანსებს იმპერიალიზმისა და ინტერნაციონალის წინააღმდეგ მის [illegible] და თავგანწირული ბრძოლის საქმეში.

ჩვენ, აკაკი ივანეს ძევ, ჩვენი საუბრიდან, ჩემ მიერ გადმოცემულ წერილებიდან და სხვ., თუ რაში ვხედავ მე ჭეშმარიტ საშუალებას ამ მიზნის მისაღწევად. შეიძლება, თქვენც გაეცნობით ამ მასალას. ირაკლი გიორგის ძე თქვენ გაგაცნობთ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს საკითხი რუსეთში ანკეტის მოხდენის შესახებ. მე რომ დიდ მნიშვნელობას ვაძლევ ინტერნაციონალურ კომისიის მიერ საქართველოს ნახვას—ამას გწერდით ერთი წლის წინათაც (მე მხედველობაში მქონდა სხვა განმარტება დემოკრატიული რესპუბლიკებიც). და მე ამ შემთხვევაში [illegible] გამოვყოთ ნაციონალური ინტერესები ინტერნაციონალურიდან. ჩემის აზრით, დასავლეთის მიერ ბოლშევიკურ რუსეთის მდგომარეობის დაახლოვებით გაცნობის მნიშვნელობა ერთის მხრივ და მეორე მხრივ საქართველოს გაცნობის მნიშვნელობა იმდენათვე საინტერესოა ერთისა და მეორისათვის, რამდენათაც ინტერნაციონალისათვისაც. საქართველოს ნაციონალური ინტერესები იმდენათვე უზრუნველყოფილი, რამდენათაც მტკიცეთ იქნება მის მხარეზე ინტერნაციონალური პროლეტარიატის სიმპათია. ეს კი მიღწეულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი (ინტერნაციონალური პროლეტარიატი) დარწმუნდება საქართველოს რესპუბლიკის და მის მეთაურების მიერ გატარებულ ბოლშევიკურ პრინციპებთან [illegible] სრულებში. აი, რატომ ვფიქრობ მე, რომ თუ გინდ წმინდა ნაციონალურ დემოკრატიულ თვალსაზრისითაც ქართველმა ამხანაგებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ინტერნაციონალური სოციალისტური ანკეტის მოხდენას რუსეთში და [illegible] საქართველოში, სადაც სოციალდემოკრატია და პროლეტარიატს ფაქტიურათ უკვე ხელში აქვთ სახელმწიფო ძალა უფლება. ამით მე იმის თქმა მინდა, რომ ისინი უნდა ეცადონ, როგორც პირადათ, ისე სხვა საშუალებებითაც გავლენა მოახდინონ საერთაშორისო პროლეტარიატის ხელმძღვანელ წრეებზე, რათა გაგზავნილ იქნეს ინტერნაციონალური კომისია, რომელიც შესაძლებელი იქნება, სრული, ყველა სოციალისტური პარტიების და სინდიკატების წარმომადგენელთაგან შედგენილი,—გაგზავნილ იქნეს როგორც ბოლშევიკურ საბჭოეთში, ისე დემოკრატიულ რესპუბლიკებში—საქართველო და ესტონია, განსაკუთრებით საქართველოში. მე ხაზს ვუსვამ სიტყვებს, რომლებიც კომისიის შემადგენლობას ეხება, ვინაიდან ყველა მხრიდან მოსალოდნელია საფრთხე იმ სახით, რომ საბჭოთა ხასიათის კომისიის გაგზავნით შესაძლებელი იქნება დაამახინჯონ ანკეტის აზრი, სახელი გაუტეხონ მას.

[illegible] მთავარ წერილის წასაკითხათ ირაკლი გიორგის ძეს, ამიტომ ვათავებ.

გადაეცით ჩემი გულითადი სალამი და [illegible] სურვილები თქვენ და ყველა ქართველ ამხანაგებს.

თქვენი ღრმა პატივისმცემელი პ. აქსელროდი.

„წითელ" აზერბეიჯანში

„წითელი" ქართველი.

„წითელ" აზერბეიჯანისთვის ჭეშმარიტად დიდი [illegible] ჩვენი თანამემამულე მის. კახიანი!

მისი სახით კომუნისტების [illegible] ჯგუფს [illegible] ძალა შეემატება.

არც ერთი კომუნისტი, ვგონებ, ისეთი მაგარი სიტყვებით არ გამოსთქვამს თავის აზრს, როგორც ეს ბატონი — ლანძღვა-გინება უშვერ სიტყვებით, აი მთავარი მისი ლიტერატურული მოღვაწეობა!..

მის წერილს „კომუნისტის" მე-6 ნომერში სათაური აქვს „მებრძოლი საქართველო". რა გინდათ რომ ამ წერილში არ ნახოთ კახიანის და საერთოდ კომუნიზმის უტიფრობისა და უზრდელობისა.

მისი სიტყვით ყველაზე საშინელი არიან საბჭოთა რუსეთისათვის პოლონელები და საქართველო. „პოლონეთის შლიახტები და მღვდლები, ქართველი „[illegible]" და „[illegible]" ერთნაირის სიძულვილით არიან გამსჭვალული რუსი გლეხებისა და მუშების მიმართ".

განა კახიანებს მოეთხოვებათ იმის ხსოვნა, თუ რაში გამოიხატება საქართველოს სიძულვილი რუსი მუშებისა და გლეხებისადმი?

საქართველო თავის ტერიტორიას არ გასცილებია. რუსი გლეხები და მუშები კი, საწყალობლად, კახიანების მიერ გაცურებულნი მოიწევიან მას და დანგრევით ემუქრებიან.

თავის ლანძღვა გინებით სავსე წერილს, რომელშიაც შეხვდებით ახალ გამოთქმებს—„მენშევიკების ფირმები", „მენშევიკური რესპუბლიკის მინისტრი გეგეჭკორი" და სხ. და სხ. მის. კახიანი ასე ათავებს:

„ჩვენ გვწამს, [illegible] სახალხო პოეტის აკაკი წერეთლის სიტყვებით, რომ გამოვთქვათ,—საქართველო „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და გაიღვიძებს"-ო.

ბევრი სისაძაგლე გვინახავს კომუნისტურ გაზეთში, მაგრამ არა გვეგონა ასეთი რამ ხშირი მოვლენა იყოს...

აკაკი წერეთელი და მის. კახიანი!..

ალბათ, კახიანს ჰგონია, რომ აკაკი წერეთელმა სწორედ ისე იწინასწარმეტყველა საქართველოს გამოღვიძება, როგორც ეს ბაქოს კომუნისტებს აქვთ წარმოდგენილი.

კახიანის აზრით, ალბათ, აკაკი წერეთელი ასე უქადდა საქართველოს განთავისუფლებას: მეოცე საუკუნის დასაწყისში ბაქოში შესდგება ქართველი პოლკი, შიგ ჩაეწერებიან ბაქოს ქუჩის [illegible]—კინტოები, ხომხები, მუსულმანები, სპარსელები, ჩინელები, და ქურდები, ავანტიურისტები და სხვა. ეს პოლკი იქნებოდა საფუძველი გამოღვიძებული საქართველოს ჯარის, ის შეუტევდა და საქართველოს განათავისუფლებდა...

საბრალო კახიანი, საბრალო კომუნისტები..

„კომპროდუმმა" ნება დართო „ცენტროსოიუზს" გაგზავნოს მოსკოვში 500 ფ. სანთელი, 800 ფ. ჩაი, შაქარი, ქიშმიში და კურაგა—2000 ფ., 500 ფ. კაკაო, 500 ფ. [illegible], 800 ფ. კონსერვები, 10,000 ფ. სელიოდკა და 200 ფ. [illegible].

——

ბაქოდან ასტრახანში ყოველდღიურათ 700,000 ფ. ნავთი გააქვთ. დღემდე გატანილია 3,887,579 ფ. ნავთი.

——

„კომუნისტში" სწერია: „ამხანაგებო! სამხრეთ ოსეთის ჩვენი ძმები სულს ღაფავენ საქართველოს მენშევიკური მთავრობის უღელ ქვეშ. თითოეული ოსი რომელიც თანაუგრძნობს საბჭოთა მთავრობას, უნდა ისწრაფოს ამ უღლის მოსაშორებლად. ძალა ორგანიზაციაშია:

ნოე ჩხიკვაძის უკანასკნელი ლექსები

1. სამშობლოს გმირებს

თავისუფლების არწივნო,
ლომ გულნო მშობელ ერისა,—
აღსდექით მტერზე! მახვილით
ხმა თქვენი აბჯარით ძლევისა!
ყიჟინი დაეცით ბრძოლის ველს,
ბედი აცრუეთ მტერისა,
დუშმანს [illegible] სიკვდილით
დამრბევს ჩვენის კერისა!

განა ცეცხლიდან გმირები,
ერთ ტომნი ქართველის გვარისა?
ყოველდღე [illegible] მოვერდინებით
ვით ტალღა ნიაღვარისა.
წინ გვიძღვის წმინდა მიზანი,
საფლავი მთის და ბარისა,
დედათა ლოცვა-კურთხევა
და მადლი ნინოს ჯვარისა.

ერთობის ხატზე ნაფიცნო
რას გვიზამს მტერი ვერანი?
ძლევისა ნიშნად მოგვიძღვის
გიორგის თეთრი მერანი.

უკვე გვისმის მტარვალთა
თავზე ლახვარი ბევრანი
სამშობლოს მოღალატეთა
თვალებს მკორტნიან ძერანი.

[illegible] თეთრი
მარადის ჩვენი მტერია,
მაგრამ მხნედ დავცვათ მახვილი,
გადვლახოთ ვითა მტვერია.
თავისუფლების დამცველი
დღეს მხოლოდ ჩვენი ერია.
თქვენი იმედით სულდგმული
სამშობლო ბედნიერია.

ჰკითხეთ ამ გორებს ლოდებსა,
ამბავი ჩვენის ძველისა:
რამდენჯერ დაუწითლებიათ
სისხლი აქ დუშმან გველისა!
ივერი მკვდრეთით ადმდგარა
თქვენებსაც ამას ელისა...
[illegible] მუკი და ნადირი,
ჟამია განსაცდელისა!..

2. ერთხელ ვიყავ მგოსანი.

ერთხელ ვიყავ მგოსანი, ბრძოლის ცეცხლით ქანცგაწყვეტილი,
[illegible] ქუხილით [illegible].
[illegible] იმედით ვუმღეროდი ნაღველს მწარესა.
დღეს კი... მარტო ვაგდივარ როგორც ხე წაქცეული.

დამიგუბდა ოცნება, დამიგუბდა გალობა,
ჯაჯახებით [illegible] ეს სოფელი წუხილი.
არც არავის ვახსოვარ, არც არსად ვარ წვეული
ცამ მიწა დამიკარგა, მიწამ—ზეცამ წყალობა.

სად წავიდე? ქვეყანა ანგარებით სავსეა.
[illegible] ბორკილებში კვნესის თავისუფლება.
მე ამ სოფლად აღარ მაქვს არც პური, არც უფლება.
ეს ფუჭი ქვეყანა ჩემთვის ციხის მსგავსია!

——

3. დაუმთავრებელი ლექსი.

დღესცვდით ერს დავეცი მწუხარებით შავსა ზეწარზე!
ცრემლთა ჩანჩქერით ქმუნვა ჩემი არ განელდება.
მე სიკვდილს ველი... ჩემს გარშემო ჟამი ბნელდება
სიცოცხლეს [illegible] ღმერთის [illegible]...

ნოე ჩხიკვაძე

განსვენებული ნოე ჩხიკვაძე ეკუთვნის იმ პოეტთა გუნდს, რომელიც 1905 წლის რევოლუციის წიაღიდან გამოვიდა და სამწერლო ასპარეზზე. ამ გუნდში მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. თავის შემოქმედებას იგი იწყებს იმ მოტივებით, რომლებიც ამ რევოლუციამ წარმოშვა და რომლებიც [illegible] რევოლუციის შემდეგაც, მოსვლის დროს მძლავრ რეაქციისა. ეს მოტივია მუშათა კლასის პროტესტი იმ უკუღმართობის და უსამართლობის წინააღმდეგ, რომელიც გამეფებულია დღევანდელ საზოგადოებაში, პროლეტარიატის მოწოდება ამ უკუღმართობის და უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მუშათა კლასის და მთელი მშრომელი ხალხის შესაერთებლად.

ნოე ჩხიკვაძეს მკაფიოთ აქვს გამოხატული ეს უკუღმართობა. მას ბოღმა და ბრაზი მოსდის იმ გარემოების გამო, რომ ჩვენი საზოგადოება დამყარებულია ამისთანა წესებზე, რომლებსაც „ზოგსა შიმშილი ღუპავს, ზოგი სისხლით მთვრალია". რომლებსაც არ ესმის ხმა

„ერთ მხრივ ქვითინის, მეორე მხრივ ღრეობა-ზარისა".

რომლებსაც

„[illegible] კალისგან დაჩაგრული, მონად ქცეულია".

პოეტს ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ შრომა საზოგადოების ბურჯია, რომ შრომაზე დამყარებული საზოგადოების არსებობა, რომ

„არსებობის მიზეზი მხოლოდ შრომის ძალაა".

ამიტომ იგი მოითხოვს, რომ შრომას საზოგადოებაში ჰქონდეს დამსახურებული შესაფერი ადგილი, მშრომელი უფლებრივი მხრით იყოს პირველი, როგორც ფაქტიურათ პირველია იგი საზოგადოების შექმნაში და არსებობაში. ერთს მშვენიერ ლექსში („მეცდილი") იგი ხატავს სიცოცხლეს

„სიცოცხლეო, იმისთვის მაშ ყვავდე ასე,
ცრემლი ცრემლთან შეაზავე და აღავსე
ყვავილის თასი, წმინდა ოფლის ნაცვალადო,
რომ მეფეთა შენს სამკვიდრეს სიყვარულით,
დაიჭიროს ცხოვრების ცეცხლის წყარო,
შეეუფლოს იმ ქვეყანას, იმ სამყაროს,
სადაც მეფობს და ბატონობს შრომის შვილი".

შრომა უნდა იყოს გამეფებული, შრომისადმი პატივისცემით და სიყვარულით უნდა იყოს ყველა გამსჭვალული:

„შრომა, შრომა, მხოლოდ შრომა,
მხოლოდ შრომას სიყვარული"!

პოეტი უყურებს მშრომელ და ჩაგრულ ხალხს, შეერთებისაკენ და საერთო ბრძოლისაკენ მოუწოდებს მას:

„გაუმარჯოს მაშ შრომის შვილს,
გაუმარჯოს ჩაგრულთა კრებას!
გაუმარჯოს ვინც უფრო უყვარს
ჩვენს კავშირს და ჩვენს სიმღერას"!

ნოე ჩხიკვაძე ფილოსოფიურათაც [illegible] საზოგადოებრივ უკუღმართობის მიზეზებს. ის უსამართლობა, რომელიც საზოგადოებაშია გამეფებული და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ვინც შრომობს იტანჯება და მუქთახორები კი განცხრომაში არიან, პოეტს [illegible] წარმოდგენილი. სამყაროში ორი ძალა იბრძვის კეთილი და ბოროტი. კეთილი სამართლიანობის დამყარებას, ბოროტი უსამართლობას ხვდება. „სამოთხის ფრინველი" ებრძვის „ჯოჯოხეთის [illegible]" („ღმერთების ბრძოლა") ბოროტების ღმერთის ადამიანი დასახული ჰყავს როგორც მონა.

„მონა საბრალო დაბეჩავებული, დამარცხებული"

მის მიერ შექმნილ ცხოვრებაში

„ადამის მოდგმა წამებული, დამცირებული
მარად იტანჯება დევნა, შიმშილს, დამცირებასა
[illegible], რომელთა ეტლი ხელში მეფობა
მართლაც იმათი დაჯახნებულ შრომის ბედისა."

ის იდეალი კი, რომლის განხორციელებასაც სიკეთის ღმერთი ცდილობს, სულ სხვა საძირკველზეა აგებული.

„თავისუფალი უნდა იყოს ადამიანი!
საერთო არის ეს ამდენი მიწა და
წყალი".

ცხოვრების მაშინდელობის ორი პრინციპი არსებობს. პირველს სათავეში ჰქვიან

„შავი მიწიდა"

მეორეს კი

„სიყვარული, თავისუფლება..
„პირველი ცრემლზე და ჩაგრულზე არის აგებული,
მეორე სიმართლე ჩაგრულთა მხსნელი.
ორივე ხალხი: დამხობილი და დაჩაგრული.
და ცხოვრებისა შემოქმედიც ორივე ხელი".

დღეს ბოროტი ღმერთია გამარჯვებული, მაგრამ მას მედგრათ ებრძვის სიკეთის ღმერთი. ამ ბრძოლაში პოეტი ხან იმედიანათ მოუხმობს ჩაგრულებს, ხან კი უიმედობა ეუფლება მას. მან იცის „სევდის ჰანგები".

„ვმღერი მარტო... კვნესის ჩანგი,
დენის ცრემლი ამ არეში,
და ეს ცრემლი, სევდის ჰანგი
თან ჩამყვება სამარეში".

ეს სევდიანი ნოტი მარტო საზოგადოებრივ მოტივებით არ აიხსნება. პოეტი პირად ცხოვრებაშიც განაწამები იყო. იგი მუდამ გაჭირვებას და სიღარიბეს განიცდიდა, მუდამ ლუკმა პურისათვის ზრუნვაში იყო. მას თავის დღეში არ ჰქონია ისეთი მდგომარეობა, რომ თავისუფლად მისცემოდა იმ საქმეს, საითკენაც იწვევდა უშრეტელი ნიჭი. დროს პოეტურ შემოქმედებისათვის იგი მხოლოდ ძალს ჰპარავდა. ამის გამო ღრმა სევდა ისმის პოეტის ზოგიერთ ლექსებში, სევდა გამოწვეული იმით, რომ ულმობელი ცხოვრება ჰკლავს მის ნიჭს, ართმევს მის მუზას. ეს სევდა წინანდელ ლექსებშიც ხშირად ისმოდა, მაგრამ ყველაზე მკაფიოდ გამოხატულია მის ქაღალდებში ნაპოვნ გულში ჩამწვდომ ლექსში, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება. გული [illegible] გვეწვება, როდესაც ნოე ჩხიკვაძის ამ ბედის სიმღერიდან ვტყობილობთ, რომ მას თურმე ლუკმა პურიც კი არ ჰქონია საკმაო.

„მე ამ სოფლად არა მაქვს არც პური,
არც უფლება,
ეს ფუჭი ცხოვრება ჩემთვის ციხის
მსგავსია".

ნოე ჩხიკვაძე ჯერ კიდევ [illegible] მეტი ღვაწლი პოეტურ შემოქმედების საქმეში [illegible]. ამ დროს განმავლობაში იგი შეუჩერებლივ ვითარდებოდა, და მის პოეზიას ეტყობა ჩქარი ნაბიჯით წინსვლის უტყუარი ბეჭედი. მისი ლექსების შინაარსი ახალი მოტივებით მდიდრდება, მათს ფორმას ახალი ძიების ნიშნები ამჩნევია. როგორც ყველა ჩვენმა პოეტებმა, ნოე ჩხიკვაძემაც განიცადა ახალი სხივი, რომელიც ასე დაგვიანებით შემოიჭრა ჩვენს პოეზიაში ევროპიდან და რუსეთიდან, სიმბოლიზმის ფუტურიზმის. ჩვენს პოეზიას ამ სხივის ფორმის მხრივ იქნება შესძინა რამე, მაგრამ შინაარსის მხრივ იგი ჩვენი პოეზიისათვის ლამის არის მომაკვდინებელი გამოდგეს. მხოლოდ ორიოდე პოეტი დარჩა რეალიზმის ნიადაგზე (თუმცა მათაც უცდიათ ახალ მიმართულების გავლენა) და, არ გადაეშვა ფუტურიზმის ტალღებში, ამ პოეტების რიგში ნოე ჩხიკვაძეს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. მით უფრო დიდია ის დანაკლისი, რომელიც მოუვიდა ჩვენს პოეზიას მის გარდაცვალებით. საქართველომ მუშათა კლასს გამოაცალა ერთი ძვირფასი მისი მგოსანი, რომლის ხანგა პირველ დღიდანვე „შრომის ჰანგზე" იყო მომართული, რომელსაც მუდამ ქარხნიდან ეჭირა თვალი და იქიდან გამოჰქონდა თავის პოეზიის უმთავრესი მოტივები და რომელმაც უკანასკნელი თავისი ამოსუნთქვაც კი შესწირა „ერთობის ხატზე ნაფიცთა" სიყვარულს და თავის აღტაცებას იმ თავდადებულ ბრძოლით, რომელსაც ჩვენი გმირები აწარმოებენ დემოკრატიულ სამშობლოს მტრისაგან დასაცავად.

დ. ნათაძე.

ნოე ჩხიკვაძის გარდაცვალების გამო

ამ დღეებში გარდაცვალებულ მწერალ ნოე ჩხიკვაძის პატივსაცემად გადახდილ პანაშვიდს ხუთშაბათს, დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების და სენატის წევრნი, მწერალთა კავშირი მთელი შემადგენლობით, სახალხო ცენტრის და პრესის წარმომადგენლები მრავალი საზოგადოება და გარდაცვალებულის პატივისმცემელნი.

ცხედარს მიწას მიაბარებენ დღეს, 30 მაისს.

გამოსვენება მოხდება დილის 12 ს. ქვაშვეთის ეკლესიიდან.

განსვენებულის ნებაყოფლობით შემოწირულებათაგან შედგება განსაკუთრებული ფონდი განსვენებულის ოჯახის მატერიალურათ უზრუნველსაყოფად.

ქალაქის გამგეობაში და მწერალთა კავშირში დაძრულია საკითხი განსვენებულ მგოსნის აღსანიშნავათ რაიმე კულტურულ-საგანმანათლებლო ნაბიჯის დაწესების შესახებ.

მწერალთა კავშირი სთხოვს, ყველას,

---

*) ვბეჭდავთ ჩვენი ცნობილი მასწავლებლის პ. ბ. აქსელროდის წერილს. ამ წერილს აქვს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. აქ ის გვწერს მთავარი და მძიმე საქმის შესახებ თანამედროვე მუშათა მოძრაობისა. ღრმა და მწარე განცდილი მწვავე დღევანდელ რეაქციის ხანის ბოლშევიზმის არსებობით მთელი ქვეყნის მუშათა კლასი შეპყრობილია დღეს იდეური ავადმყოფობით, და საერთაშორისო სოციალიზმი ამ ავადმყოფობასთან ბრძოლაში ვერ ახერხებს იმ გზას, რომელიც ნაჩვენებია პ. ბ. აქსელროდის წერილში.

რედ.

ვინც პროცესიაში მონაწილეობას მიიღებს დაიჭირონ ხელში ვარდი ან სხვა ყვავილები, რომლითაც შემდეგ შემკობილი იქნება განსვენებულის საფლავი.

სამგლოვიარო დეპეშები.

ნატანების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია გლოვობს მუშათა პოეტის ნოე ჩხიკვაძის უდროოდ დაკარგვას.

ფოთი. თავზარდამცემია ფოთელი ამხანაგებისთვის დაუვიწყარი ნოეს უდროოდ სიკვდილი. მუშათა კლასმა დაკარგა საუკეთესო მგოსანი.

მარგველიძე, ტიტუ, აქიძე, გაჩო.

სამტრედია. ნოე! ვიცით შენგნით დანაკლისი. დღეს გვირგვინოდა სიტყვა მკვეთრი და კალამი მჭრელი. შენ კი მოგცელა სიკვდილმა უდროოდ.

მარიამ გარიყული.

— —

საგანგებო მათაყილნის და საინქვნე რო გუნდის კულტურულ განმანათლებელი სექცია განუზომელ მწუხარებას გამოთქვამს, მუშათა კლასის სულისკვეთების გამომხატველ პოეტის ნ. ჩხიკვაძის დაკარგვის გამო. სიმღერით ღმერთის ხმას ჩვენც ვუერთებთ ჩვენს მწუხარებას და მის ხსოვნას მუდამ გულის სიღრმეში ვატარებთ. სექცია.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

29 მაისი.

საზღვარგარეთ ცნობები.

გერმანიაში.

გერმანიაში იმყოფება ყოფილი ატამანი კრასნოვი და გენერალი სკოროპადსკი. ისინი ცდილობენ.. (დამახინჯებული).

11 მაისს ბერლინში მოხდა უზარმაზარი დემონსტრაცია გერმანიის გენერალთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ, რომელნიც რუსეთის მუშების და გლეხების თავდასხმას აწყობენ.

ფრანგული ცნობები.

ოსმალეთის გარშემო.

პარიზის სააგენტოს აუწყებენ: რადგანაც ოსმალეთის მთავრობას ჯერაც არ მიუღია საზავო ხელშეკრულება, დიდი ვეზირი უნდა წასულიყო პარიზს, მაგრამ ოფიციალური გადაწყვეტილება ჯერაც არ არის. ანტანტის პასუხს საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილავენ.

რკინის გზებზე.

რკინის გზის ხაზის მოქმედება ნორმალობას უახლოვდება. „პ. ლ. მ." ხაზზე მუშები მუშაობას უბრუნდებიან, ორლეანის ხაზზე მექანიკოსთა, კონდუქტორთა და გზის აგენტების უმეტესი ნაწილი მუშაობას შეუდგა. ბრეტანსა და ოვერნში გაფიცვა სრულიად შეწყდა. სახმელეთო ხაზზე მდგომარეობა უმჯობესდება. გაფიცვები დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. გაფიცულების რიცხვი 260 კაცს არ აღემატება. ნორმალურად, რკინის გზებზე, მიმოსვლა ნორმალურია.

მიწის მუშათა ყრილობა.

მიწათმოქმედების კონფედერაციის საერთო ყრილობამ, რომელშიდაც 424000 მიწის დამმუშავებელი დაესწრო, თავის სინდიკალური ხასიათის დაცვა მთავრობასა და სენატს დაუგზავნა მოთხოვნა, რომ კანონები, რომელნიც უზრუნველყოფენ შრომის თავისუფლებას, წესრიგსა და სინდიკატთა მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალური ხასიათი, ცხოვრებაშიც იქნეს გატარებული, და რომ ყოველი ძალდატანებითი შეწყვეტა საზოგადოებრივი სამსახურისა აკრძალული და ჩაქრობილი იქნეს საფრანგეთის ერისა და ეკონომიური ცხოვრების ამაღლების მიზნით.

ახალი ამბები

26 მაისი. დამფუძნებელ კრების წევრების კომისიასთან არსებულ 26 მაისის მოსაწყობ კომისიის ჯილდოს მიმნიჭებელმა ჟიურიმ სადღესასწაულო გუნდს მიუსაჯა 26 მაისის მეჭედის ჯილდო წარწერით: „ქართველი ერის უდიდესი დღესასწაულის—26 მაისის დამწყებნებისთვის".

◆ ყველის და ერბოს ქარხნების მიმღებმა კომისიამ ბორჯომის მაზრაში უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა. კომისია ყოველ ზომებს ღებულობს, ყველის და ერბო-კარაქის გამოხდის საქმის განსავითარებლად. კომისიაში შედიან მიწ. მოქ. მინისტრის საბჭოს წევრი აღ. კორინთელი, ამავე სამინისტროს რწმუნებული რ. გ. რამიშვილი მესაქონლეობის წარმომადგენელი ვ. ჯავახიშვილი და გრონათი—მარტყოფლიშვილი.

◆ საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროს ცნობით ამ დღეებში მოსკოვიდან საქართველოში მოდიან საქართველოს დელეგაცია და მისი თავმჯდომარე გრ. ურატაძე.

◆ სეტყვა კახეთში. 25 და 26 მაისს კახეთში დიდი სეტყვა მოსულა. დაზარალებულია ვენახები და ყანები.

◆ მეოთხე რაიონის კოლექტივი დღეს, დილის 10 საათზე, ვერის მუშათა კლუბის დარბაზში იწვევს რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრებას. კრებაზე მოხდება პარტიული ყრილობის დელეგატთა არჩევნები და განხილული იქნება სხვა კითხვები ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

◆ მეორე რაიონის კოლექტივი სამშაბათს საღამოს 6 საათზე მუშათა კლუბში პლეხანოვის ქუჩ. № 128, იწვევს პარტიის წევრთა საზოგადო კრებას. ყრილობის დღის წესრიგის ზოგიერთი კითხვების გასარჩევად და ყრილობაზე დელეგატების ასარჩევად. მომხსენებლად იქნება ამხ. ნოე რამიშვილი. ვინაიდან კრება მოწვეულია მე 3-ჯერ, რამდენი წევრიც არ უნდა დასწრო, ჩაითვლება კანონიერად.

◆ „კრისტინე". დღეს სახალხო სახლში დადგმენ რ. გოგნიაშვილის პირველი ქართული ორიგინალური ოპერა „კრისტინე".

◆ ვერის მუშათა კლუბში დღეს, 30 მაისს ფრონტის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება კომედია 4 მოქმ. „გუშინდელი სიყვარული".

◆ „ახალი კვალი". რედაქციამ მიიღო საქ. ახალგაზ. მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის ორგანო—„ახალი კვალი", № 4, 1920 წ. ჟურნალში მოთავსებულია: მიმდინარე პოლიტიკური მომენტის შესახებ, მეცნიერული ხასიათის წერილები—მარქსიზმის ფილოსოფიიდან, პიროვნების როლი ისტორიაში და სხ., ორგანიზაციის ცხოვრება და სხვ. ნომერი საინტერესოდ შედგენილი და ღირს 10 მან.

კრებები

ორშაბათს, 31 მაისს, საღამოს სრულ 6 საათზე, დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

ფრონტის დღეები

დღეს, 30 მაისს

დილით: 1) მოხდება ყულაბებით ფულის შეკრება.

2) სახალხო ბაღში დიდი სეირნობა დანიშნული.

3) ქუჩებში გაიმართება აუქციონი.

4) სეირნობა ალექსანდროვის ბაღში.

5) რესტორნების მოვლა.

საღამოს: 1) რაიონებში სეირნობა და გართობა.

2) ყულაბებით მოვლა გასართობ დაწესებულებათა.

3) საღამოები ღამის 2 საათამდის: პირველსა და მეორე ქართულ კლუბში, „ტივოლში", „მერცხალში", „ხელოსანთა კლუბში", „ტრიტონში", „26 მაისი", მუშტაიდის კლუბი", „მუშათა კლუბი" და სხვა.

დღეს, 30 მაისს მეორე ფრონტის დღეს მუშტაიდის მუშათა კლუბში გაიმართება დიდი მიტინგი-სეირნობა წარმოდგენა. ბაღში დილის ათ საათიდან დაუკრავს რკინის გზის სასწავლებელთა მუსიკა. მიტინგში საღამოს 7 საათზე, მონაწილეობას მიიღებს ამხანაგი ევგენი გეგეჭკორი.

ბაღში შესვლა ღირს დიდებისათვის 10 მ., ხოლო პატარებისათვის 5 მან.

სცენაზე დაიდგმება „და ძმა". დამთავრდება ცეკვა. ამერიკული აუქციონისათვის შეძენილია: შაქარი, ჩაი, საკონდიტრო მატერია და სხვა ნივთები.

მთელი შემოსავალი მოხმარდება ფრონტის საჭიროებას.

ის აღარ მოვა...

(მგოსან ნ. ჩხიკვაძის ხსოვნას).

I

...ის აღარ მოვა...

გაზაფხულზე, ყვავილთ ველში მოულოდნელად მოსწყდა ცხოვრების ტოტს და დაჭკნა.

ის აღარ გაგვეღიმება.. ცხოვრებაში აქ, ამ ცოდვილ ქვეყანაზე ყველას უღიმოდა—აჩრდილი თვით გაუხარელი, თვით გულში მტირალი, სულით მწუხარე. და მას კი...

მისი სიცილი, მისი სული და გულის ბრწყინვალება იყო; მისი ცხოვრება—დაუდგრომელი ზღვა, აბობოქრებული—აღქაფებული ტალღა... იყო...

მას ია ვარდი ენატრებოდა და... ბარდ-ჯდალი ხვდებოდა, ეფინებოდა ეკალ-ქვეშ.. ტანჯვის შვილი ტანჯვის გზას ვერ ასცდა.

ის აღარ მოვა...

ვეღარ შეგვინდობთ, ყველას გამოტირებთ, მაგრამ...

იქნება შიოდა მგოსანს?!

იქნებ სტკიოდა სული!?

თქვენ თავს გაიქნევთ, მწარე კითხვაზე პასუხს ვერ გასცემთ და ჩქარა განშორდებით თქვენს მეჯლისს, ცუდ ფიქრებს..

II.

დღეს მგოსანს ჩვეულებრივ დედა-მიწას, კალთაში ჩაუწვენთ, რომ მდუმარე ნანა უთხრას, რომ მტვრად იქცეს და.. ვინ იცის: იქნებ ტანჯულის სამარეზე აღმოცენდეს უკვდავი ვარდი სამარადისო სიყვარულისა და მზეს, ძალიან მზეს ღაღადებს გული, აცრემლოს დაკარგულ სიყვარულზე...

ვო, და..: ღამით მგოსანს ჰოტი გადაუფრენს მის სამარეს, რადგანაც დაამყურებს..

მუდმივი სევდით აიკრაკრებდება და... ლამპარს ფრთას დააშვერებს მის ცივ სამარეს...

სიზმარი, წყვდიადი, მხოლოდ წყვდიადი და არარაობა!..

გათენდება დილა და ნაზით ალერსით დილა სამარეს, ხნიებით გაიცინებს მზე და გადასძახებს განქარვებულ მგოსნის ცივ სამარეს...

ის აღარ გაიღვიძებს...

ის აღარ მოვა...

დ. მგრონგური

